



საქართველო სახმართლო

№ 14

15 ივნის 1928 წ.

№ 14

სსკართველო რასტაცია და მისი დანიშნულება

ჩვენი უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, როცა იგი საკასაციო წესით სამოქალაქო საქმეებს იხილავს, ხშირად შეამჩნევთ ასეთ მოვლენას: საკასაციო საჩივრის შემტენი არდგრეს უზენაეს სასამართლოში საჩივართან ერთად ან სხდომის დროს ახალ საბუთს, რომლის ძალითაც მოითხოვს 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას. ხდება ხოლმე ისეც, რომ სხდომის დროს რომელიმე მხარე ამოიღებს ჯიბიდან თუ პორტფელიდან ქალალს და წაუშევრს თავმჯდომარეს; ეს უკანასკნელიც გამოართმევს, წაიკითხავს და თუმცა შემდეგ დაუბრუნებს, მაგრამ გაკრინით მაინც ეკრინბა. და ჩვენ ვიცით, რომ საკასაციო საკრებულო,—პერსონალური შემაღებელობის მიხედვით,—ხან შედის (ფაქტურად მაინც) ასეთი, ახლად წარდგნილ, საბუთების განხილვაში, ხან არ შედის.

ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა დაუშვებლად ის შემთხვევები, როცა საკასაციო ინსტანცია ახალ საბუთებს ეცნობოდა და მათი მიხედვით (ვიმეორებთ —ფაქტურად) საქმეს სწყვეტდა.

ბ. ფურცხვანიძე სულ სხვა აზრის ყოფილა. პირიქით, იგი ჩივის, რომ საკასაციო საკრებულო „არ შეჯლობს იმ საბუთებისა და ახალ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საკასაციო საჩივართან ერთად იყო მისთვის წარდგნილი“. ეს, მისი აზრით, სრულიად მიუღებელია რატომ არის „სრულიად მიუღებელი?“ იმიტომ, რომ მომქმედი კანონია უგარეთისი,—ამის შესახებ ბ. ფურცხვანიძის მსჯელობას ეტყობა აშკარა ცდილობს დაამტკიცოს, რომლის მთელი შინაარსით იგი წინააღმდეგობა. წერისისხ. სამ. საპრ. კოდ. 411 და სამოქ. საპრ. კოდ. 245 მუხლების მიხედვით „ჩვენ არა გვაქვს წმინდა საკასაციო ინსტანცია ამ სიტყვის ვიწრო—ფორმალური გაებით და საბჭოთა სასამართლოების სისტემაში სააპელაციო სასამართლოს უქონლობის გამო საკასაციო სასამართლო თავისი ბუნებითა და დანიშნულებით ნაწილობრივად ითვისებს სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს“ (, საბჭოთა სამართლით 1928 წ. № 11). გამოდის, რომ ასეა ახლა—არსებული კანონის მიხედვით. მაგრამ შექმდევ თავის წერილს ბ. ფურცხვანიძე ათავებს იმ დასკვით, რომ დროული იქნება საკანონმდებლო გზით მისი დებულების დაკანონება. გამოდის, რომ არსებული კანონი ასეთი არ არის.

ვინაიდან ამ წერილს შეუძლია კიდევ მეტი არევდარევა შეიტანოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკაში, რომელიც ისედაც არ არის მტკიცე, ჩვენ საჭიროდ მიგვა-

რედაქტირების და კანცორის
მისამართი:

თვილისი, ტრიბუნალის
ა. № 32

ტელ. № 10—51

ხელისმოვარის ფასი:

წლიურად — 10 გან.

6 თვით — 5 გ. 50 კ.

3 თვით — 3 გ.

1 ნომერი 50 კ.

ჩინია შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორია საკასაციო ინსტანციის დანიშნულება, როცა იგი საკასაციო წესით სამოქალაქო საქმეებს იხილავს.

სამოქ. სამ. საპროც. კოდ. 237 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძველად შეიძლება დაედოს: ა) მომქმედი კანონის, კერძოდ ამა კოდექსის 6 მუხლის, დარღვევა ან არა სწორი შეფარდება და ბ) აშეარა წინააღმდეგობა გადაწყვეტილებასა და საქმის იმ ფაქტურ გარემოების შორის, რაც საქმის გადამწყვეტმა სასამართლომ გამოარყენა.

შეიძლება ამ კანონის რედაქციია არ იყოს საცემით დამატავოფილებელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც ნათელია. ეს ის, რომ საკასაციო ინსტანცია უდგება საქმეს მხოლოდ ერთის მხრით—ხომ არ არის დარღვეული კანონი ან ლოდიკა („აშკარა წინააღმდეგობა“...), ხოლო საქმის ფაქტური გარემოების გამორჩევა ეკუთვნის მარტოოდენ საქმის არსებითად გადამწყვეტ სასამართლოს, გ. ი. 1-ლ ინსტანციას. ეს აშკარა გახდება სამოქ. საპროც. კოდექსის ისტორიიდან.

როგორც ყველმდევიც ვიცით, ჩვენი საპროც. კოდექსი გადმოღებულია სიტყვა-სიტყვით იმ ნაწილში მაინც, რომელზედაც ლაპარაკი გვაქვს, რუსეთის ს. ფ. ს. რ. ასეთ-სავე კოდექსიდან. მაშასადამე, რა აზრიც აქვს ჩიდებული რუსეთის კანონმდებლობას, იგივე აზრი აქვს ჩვენი კოდექსის სათანადო ნაწილსაც. როდესაც რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარმა წარუდგინა საკანონმდებლო ორგანოებს სამოქ. საპროც. კოდექსის პროექტი, ამასთან ერთად მან წარადგინა აგრეთვე განმარტებითი ბარათიც. და ამ განმარტებითი ბარათში აი რასა სწერს, სხვათ შორის, იუსტიციის კომისარი:

„საქმე არსებითად განიხილება მხოლოდ ერთ-ხელ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში, სადაც იგი დაწყებული იყო; მხოლოდ ამ სასამართლოში შეიძლება დამატკიცებული საბუთების წარდგენა და მხოლოდ აქ შეიძლება მათი შემოწმება, ისე, როგორც მოდავე მხარეთა შორის პროცესამდე არსებული ურთიერთობის გამორჩევა... საკასაციო საჩივრის შინაარსი ვერ იქნება, პროექტით, ვერაფერი სხვა რამ, გარდა იმის მოთხოვნისა, რომ უმაღლესმა ინსტანციამ შეამოწმოს, თუ რამდენად შევფრენა სახამართლოს მიერ გამოტანილი. გადაწყვეტილება, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო

სამართლის მოქმედ კანონებს“ (ხაზი ყველგან ჩვენია. ს. ჯ.).

შემდეგ, რუსეთის ცენტრ. ოღმ. კომიტეტის სესიაზე, 1923 წლის ივნისის 30-ს, ით რა სთვა თავის მოსესენებაში იმავე იუსტიციის კომისარიატის წარმომადგენელმა—ბრანდენბურგის მიზანის საბჭოთა რესპუბლიკაში მოქმედობს მხოლოდ ერთიანი სასამართლო ინსტანცია... ერთიანი ინსტანციის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვწყვეტი საქმეს არსებითად მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ. საქმე გადაწყდება, თუ იგი ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, სახალხო სასამართლოში, თუ ექვემდებრება საგუბერნიო სასამართლოს—საგუბერნიო სასამართლოში და ასე ბოლომდე—მაგრამ სასამართლო განიხილავს საქმეს არსებითად მხოლოდ ერთხელ, საქმის ფაქტიურ გარემოებას გააჩინებს მხოლოდ ერთხელ. არავითარი სააპელაცია ინსტანცია ჩვენ არა გვაქს და ამიტომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ რა პირობებში შეიძლება საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრება. ჩვენ, რასაკირველია, დავუშვით გადაწყვეტილების გასაჩივრება საკასაციო წესით, ე. ი. მაშინ, როცა დარღვეულია რომელიმე კანონი... უმაღლესი ინსტანცია საქმის არსებით მხარეს ვერ შეეხება. იმის შეუძლია გადაწყვიტოს მხოლოდ ერთი არა: დარღვეულია თუ არა კანონი. თუ დარწმუნდება, რომ დარღვეულია, მას შეუძლია გადაწყვეტილების გაუქმება.“

მაშ ასე, თვით საპოქ. საპროც. კოდექსის ავტორები ადასტურებენ, რომ დამატებიცებელი საბუთების წარდგენა შეიძლება მხოლოდ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში, რომელიც არსებითად არჩევს საქმეს, და რომ საკასაციო ინსტანცია საქმის არსებას ვერ შეეხება.

ეს დებულებანი მტკიცედ გატარებულია აგრეთვე იურიდიულ ლიტერატურაშიაც. საბჭოთა სამართლის ცნობილი თეორეტიკოსი და რუსეთის უზენაესი სასამართლოს წევრი, პრუშიცი, ამის შესახებ, სხვათა შორის, სწერს:

„რით განიჩევა საკასაციო ინსტანცია 1-ლი საფეხურის სასამართლოსა და სააპელაციო ინსტანციისაგან? მით, რომ საკასაციო ინსტანცია არ იხილავს საქმის ფაქტიურ მხარეს. მთელი ფაქტიური მასალა შეიკრიფება, გამოირკვევა და შემოწმდება მხოლოდ ერთხელ—1-ლი ინსტანციის სასამართლოში. მეორე საფეხურის სასამართლო სრულიად არ შეამოწმებს ფაქტიურ გარემოებას, გამოირკვეულს 1-ლი საფეხურის სასამართლოს მიერ, არ შეამოწმებს და არც დაუმატებს, არამედ იღებს ისე, როგორც მოცემულია, და აქედან გამოდის თავის მსჯელობის დროს“ („ექ. სო. იუსტიცია“ 24 გ., № 10).

აგრეთვე სემიონოვა, თეორეტიკოსი და უკრაინის უზენაესი სასამართლოს წევრი, თავის წერილში აღნიშნავს, რომ იმის შემდეგაც, რაც საკასაციო ინსტანციის უფლებები გააფართოვეს, გამოაშეარება იმ ფაქტიურ გარემოების, რომელიც საფუძვლად უდევს სადაც ურთიერთობას, ეკუთვნის 1-ლ ინსტანციას და ის რაც აქ გამოირ-

კვა, ურყევად უნდა იქნეს მიღებული საკასაციო ინსტანციის მიერ (Вестн. Соб. Юст. 24 г., № 21).

ეს აქსიომად აქვს მიღებული საბჭოთა მეცნიერულ აზრსაც. სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, მხოლოდ მოკლედ დაგისახელებთ გამოჩენილ ავტორებს: პროფ. გონიბარგი (Курс გრაჯ. процесა, გამოც. 28 წ., გვ. 241), პროფ. კრასნოკუტსკი (Очерки გრажд. проц. права, გამოც. 24 წ., გვ. 145), ალექსანდროვსკი (Гр. процесс, გამოც. 25 წ., გვ. 29), ბუგაევსკი (Гражд. процесс в его движении, გამოც 24 წ., გვ. 55), ფიშმანი (Движение гр. процесса, გამოც. 26 წ., გვ. 260-262) და სხვა.

ამგვარად, უზენაეს სასამართლოს არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვს, საქმის საკასაციო წესით გარჩევის დროს, მიღლის და განიხილოს რაიმე ახალი საბჭოთი, რაც 1-ლ ინსტანციაში არ იყო წარდგენილი.

რა უდევს ამას საფუძვლად?

პირველი. ის, რომ 1-ლი ინსტანციის ფუნქცია სხვაა. მეორე ინსტანციის—კიდევ სხვა. 1-ლ ინსტანციას მინდობილი აქვს საქმის არსებითად გარჩევა, მეორეს—მხოლოდ იმის შემოწმება, თუ რამდენად სწორია, კანონიერების მხრივ, 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილება. საკასაციო ინსტანციისათვის სააპელაციო ფუნქციების მითვისება, თუნდაც ნაწილობრივ, როგორც ამას ბ. ფურცხვანიძე ფიქრობს,—ეს იქნებოდა სხვაზასხვა ფუნქციების ერთმანეთში დომხალივით არევა.

მეორე. სისწრაფის პრინციპი. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმე გაივლის სამ ინსტანციას: პირველი არჩევს საქმეს არსებითად, მეორე (სააპელაციო) ამოწმებს 1-ლი ინსტანციის გადაწყვეტილების სისწორეს, როგორც ფაქტიური გარემოების გამორკვევის მხრივ, ისე კანონიერების თვალსაზრისით; მესამე (საკასაციო) ამოწმებს მეორე ინსტანციის გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიულ სისწორეს. ამ სისტემას თავისი ღირსებაც აქვს და ნაკლულევანებაც; მთავარი ნაკლი—ეს საქმის გაქიანურებაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა სისტემამ უარი სთვა შუა (სააპელაციო) ინსტანციაზე. სწორედ სისწრაფის მიზნით საბჭოთა სამართლი მოითხოვს მთელი მასალის წარდგენას უსათულოდ 1-ლ ინსტანციაში და აქვთ იმ ზრომდე, სანამ სასამართლო შეუდგება საქმის გარჩევას: ამით აიხსნება, რომ საჭიროა და მამტკიცებელი საბუთები აღნიშნულ იქნეს ჯერ კიდევ სარჩელში (სამოქ. საპროც. კოდ., მუხ. 77); შეძლება, რომელიც გაეგზავნება მხარეებს, უნდა შეიცვალოს სასამართლოს წინადაღებას, რომ ყველა საბუთი წარდგნილ იქნეს (იქვე, მუხ. 69); დაბოლოს, კანონი მოითხოვს, რომ სასამართლომ არ მიიღოს მხარეებისაგან ახალი საბუთი საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ იმ შემთხვევის გარეშე, როდესაც საბუთის თავის ღროვზე წარდგენლობას პატივსადები მიუწინ ჰქონდა (მუხ. 107). ამის წინააღმდეგ ბ. ფურცხვანიძე ფიქრობს, რომ საბუთი შეიძლება წარედგინოს საკასაციო ინსტანციასაც და თუ მან არ განიხილა საბუთი, ეს იქნება საქმის გაჭიანურება. სრულიად გაუგებარია.

მესამე. საბჭოთა სასამართლოს სტრუქტურა ანუ წყობილება. საბჭოთა სასამართლოს 1-ლი ინსტანცია შესდგება ერთ მუდმივ მოსამართლისაგან და ორ სახალხო

მსაჯულისაგან. ვინ არიან ეს სახალხო შსაჯულები? იურისტები ან პროფესიონალები ისინი არ არიან. ისინი წარმოადგენენ ისეთ ელემენტებს, რომელმაც ახლოს იცის ხალხის ცხოვრება, რომელსაც აქვს გამოცდილება და რომლის მონაწილეობით, მაშასადამე, საუკეთესოდ შეიძლება საქმის ფაქტიური გარემოების გამორკვევა, შეკრეფილი მასალის შეფასება და სათანადო დასკვნის გამოტანა. ამიტომ ეს —მხოლოდ 1-ლი ინსტანციის საქმეა. საბჭოთა საკასაციო ინსტანცია შესდგება მხოლოდ მუდმივ მოსამართლებისაგან. აქ სახალხო მსაჯული არ ურევია. რატომ? იმიტომ, რომ საკასაციო ინსტანციის შემადგენლობას მოებოვება კანონმდებლობის კოდინა. იმიტომ, რომ მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით მან უნდა გაუკეთოს, ასე ვთქვათ, კონტროლი 1-ლ ინსტანციას.

რაც ზევით ითქვა, ეს შეეხება მხოლოდ საქმის საკასაციო შესით განხილვას. ამას არაფერი საერთო არა აქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება გადასინჯულ უნდა იქნეს ახალი გარეშოვების აღმოჩენის გამო, ე. ი. როცა აღმოჩნდება ისეთი ფაქტი, რომელიც შორის რომ ის ფაქტიური მასალა, რომელზედაც გადაწყვეტილება. იყო დამყარებლული, უვარესი ყოფილა. მაგალითად, იმ დოკუმენტის სიყალბის გამოაქარავება, რომელიც საფუძვლად დაედვა გადაწყვეტილებას, ან მოწმის ჩერების სიცრუის დადასტურებას სისხლის სამართლის შესით და სხვა. აქ „ახალი გარემოება“ შეიძლება იქნეს ახალი საბუთიც, რომელიც არსებობდა საქმის გარჩევის დროს, მაგრამ მისი არსებობა დაინტერესებულმა მხარემ მაშინ არ იცოდა, მას მხოლოდ შემდეგში წააწყდა. მაგრამ ამ ხაზით გადაწყვეტილების გადასინჯვა — ეს არის სულ სხვა წესი.

ასეთია არსებული კანონი. მაგრამ შეცვლა იმ მიზნით, რომ საკასაციო ინსტანციას მიერჩიოს საპელაციო ფუნქციები, თუნდაც ნაწილობრივ, და ახალი საბუთის მიღება და განხილვა, — სასურველი არ არის.

ს. ჯაფარიძე.

სისხლის საგართლის საპროცესო კოდესის გამართებისათვის*)

აშკარაა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდესი უნდა იქნეს გამარტივებული, რათა ბოლომოელოს ყველა იმ მნიშვნელოვან შემზღვეველობას, რომლებიც აუცილებლად ხელს უშლიან სამოსამართლო ორგანოების ნორმალურ მუშაობას.

სწორედ ამისათვის იუსტიციის სახ. კომისარიატთან მოწვეულმა თათბირმა შემუშავა თეზისები, რომლებიც ცხადია საგრძნობლად ამარტივებენ მშრალი ფორმალობით აღსავსე სისხლის სამართლის საპროცესო კოდესს.

მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება დავთანხმოთ თეზისის 4 მუხლს, რომელიც ამბობს შმიერეს სასამართლოს უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საქმის გადადება, მოახდინოს დაკითხვა გამოცხადებულ მოწმეების, რომლებსაც შემდეგში სასამართლო აღარ გამოიწვევს“

*) დისკუსიის წესით.

არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ამ მუხლს დაგენერირებით მხარეც არ ქონდეს. სხვას რომ თავი დაგანებოთ, მარტო ის, რომ ერთხელ უკვე გამოცხადებულ მოწმეს არ მოუნდება მეორეჯერ სასამართლოში მოსვლა, კარგია, მაგრამ ამ დადებით მხარეს უსათუოდ აქარტყლებს ის უარყოფითი მხარე, რომელიც თან ახლადს მას.

ჩვენ ვიცით, რომ სის. სამ. საპროცესო კოდესში ერთერთ მნიშვნელოვან მუხლს წარმოადგენს 319 მუხლი, რომლის მეორე ნაწილის მიხედვით სასამართლო დამამზადებელ საბუთებს (დამამზადებელ საბუთად კი სის. სამ. საპრ. კოდ. 57 მუხ.) თანახმად მოწმის ჩერებაც არის) შეაფახებს თავის შინაგანი რწმენით, რაც უნდა ემყარებოდეს საქმის ყოველ გარემოებას, ერთობლივ აღებულს. და ასეთი შეფასების შემდეგ გამოაქვს სათანადო მსჯავრიც ამა თუ იმ საქმეზედ.

ამრიგად ერთ ერთი მთავარი მონენტი სასამართლოს მუშაობისა განაჩენის გამოტანისას არის მოსამართლეთა შინაგანი რწმენა.

თუ ეს ასეა და ამის უარყოფა კი შეუძლებელი, ბუნებრივად იბადება კითხვა: საიდან უნდა მიიღოს ან, სხვანაირად, რომ ვსთქვათ, სად არის ის რეზერვუარი, რომლილანაც ეს შინაგანი რწმენა შეუძლია მიიღოს მოსამართლეთა კოლექტივში? არის სასამართლოს სხდომა, სადაც მოსამართლენი ცუნაბიან მთელ მასალას, რაც ესაჭიროება საქმის ყოველმხრივ ქაშუქებას და შემდეგ სხდომიდან გასულნი სათაობირო ოთახში აფასებენ ამა თუ იმ დამამზადებელ საბუთს და აქ ფართე გასაქანი ეძღვება მოსამართლეთა შინაგან რწმენას სათანადო მსჯავრის გამოსატანად.

მაგრამ, როდესაც თეზისების 4 მუხლის შინაგარსი იქნება მიღებული, მაშინ სასამართლოს წაერთმევა საშალება თავისი სინიდისით შეაფასოს საქმეში არსებული ესათუთი და შინაგანი რწმენის მიხედვით გასცეს მას პასუხი. ეს მოხდება იმიტომ, რომ ერთხელ მოწმეთა ერთი ნაწილის დაკითხვა მოუხდება სასამართლო ერთს შედეგნილობას და მეორეჯერ მოწმეთა მეორე ნაწილის დაკითხვა კი — სასამართლოს მეორე შედეგნილობას და განა ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სასამართლოს მთელმა კოლექტივმა შეაფასოს მშრალად ქალალზე გადატანილი ჩერება? (ცხადია, რომ შეუძლებელია, ვინაიდან მას არ მოუშენია ცოცხალი მოწმის ჩერება და ასეთ პირობებში რაიმე საფუძლიან შთაბეჭდილების მიღება მოსამართლეთა უმრავლესობას არ შეუძლია. შეიძლება, თუ სასამართლოს თავმჯდომარე კარგი მეხსიერების კაცი აღმოჩნდა, მან უცვლელად შეინახოს მოწმის ერთ დროს თმული ჩერებიდან შთაბეჭდილება და ეს გადასცეს მსაჯულებს, მაგრამ, როგორც ამა. ლავამიანავა ამბობს, ეს ხომ სასამართლოს თავმჯდომარის შთაბეჭდილება და რწმენა იქნება და არა მსაჯულებისა, რაც მართლმასჯულებისათვის ყოველად მიუღებელი არის.

მაგრამ დავუშვათ, რომ სასამართლოს ერთიდაიგივე შედეგნილობას სხვადასხვა დროს მოუხდა ერთსა და იმავე საქმეზე მოწმეთა დაკითხვა და მსჯავრის გამოტანა. აქაც არ შეიძლება გავამართლოთ ს.ს.ს. კოდ. 319 მუხ. მოთხოვნილება ვინაიდან, ვიმეორებ, სხვადასხვა დროს დაკითხულ მოწმეების ჩერებიდან სასამართლო ვერ მიიღებს

იმ შინაგანი რწმენის მაქსიმუმს, რაც აუცილებლად საჭირო არის საქმეზედ განაჩენის გამოტანისათვის.

მარტო ქალალდებ დაწერილი ჩვენება რომ საკმარისი იყოს, მაშინ საკმარისი იქნებოდა მომკვლევი და საგამომძიებლო ორგანოს მიერ შედგენილი დაკითხვის ოქმები, მაგრამ აშკარაა, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოწმის ჩვენებას აქვს სასამართლოს სხდომაზე, სადაც თივთეული მოწმის ჩვენება, როგორც სასამართლოს მთელი შედგენილობის, ისე მხარეების მიერ კრიტიკის ქარცეცხლში ტარდება და ამით არა მარტო თავმჯდომარეს, არამედ სასამართლოს მთელ შედგენილობას სრული შესაძლებლობა ეძლევა მართებულად შეაფასოს კველაფერი, რაც მის თვალშინ სასამართლოს სხდომაზე გადიშალა, და კურდნოს თავის შინაგან რწმენას და მხოლოდ ამის შემდეგ თვითეული მათგანი ამეტყველდეს ამა თუ იმ მსჯავრის გამოტანისათვის.

კველა ამის გამო 4 მუხლის ეხლანდელი შინაარსით დატოვება მიუღებელი არის და სავალდებულოდ უნდა იქნეს ცნობილი მოწმეთა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადება საქმის არსებითად განხილვის დროს.

აგრეთვე მინდა აღვნიშნო შემდეგი გარემოება: თუ მართლა სასამართლოს პროცესის გამარტივებაზედ არის ლაპარაკი, მაშინ ჩემის ფიქრით თათბირის თეზისები მაინც სათანადოთ ვერ უწყობს ხელს პროცესის გამარტივებას!

აშეკრაა, რომ ჩვენი სის. სამ. საპროცესი კოდექსი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფრიად დრიმიმებულია ისეთი მუხლებით, რომელიც ზოუდავს სასამართლოს საქვიანობას, ბლომად არის აგრეთვე ისეთი ფორმალური მომენტები, რომელიც მხოლოდ აჭიანურებს საქმეს, ბევრია ისეთი მუხლები, რომლებიც თავისი უშ. ნაარს. ბით საბჭოთა სასამართლოს ბუნებისათვის მიუღებელ თვისებებს ატარებს. ჩვენი სასამართლოს საშსფერო სხდომები ერთგვარი ცერემონიებით არიან მოწყობილი, კველა მოქმედება ცალქე მუხლებში არის გათვალისწინებული და მისი შეუსრულებლობა ე. ი. ფორმალური მხარის ოდნავ დარღვევა იწვევს საკასაციო ინსტანციების მხრივ მთელი საქმის დარღვევას, ასეთ პირობებში ძნელი არის იუსტიციის ორგანოების პოსულიარიზაციის და სათანადო ავტორიტეტის შექმნა მასის წინაშე.

მე აქ არ შეუდგები კველა იმ უშინაარსო და უდაგილო მუხლების ჩამოთვლას, რომლითაც წელში იზნიქება ჩვენი სის. სამ. საპ. კოდექსი. მგონი ეს კველასათვის თვალსაჩინო არის.

ამისათვის, ვიმეორებ, თუ ჩვენ გვინდა პროცესის საფუძვლიანი გამარტივება, მაშინ საჭირო არის კველა იმ კურიოზული და მხოლოდ ფორმალური ხასიათის მუხლების ს. ს. კოდექსიდან განდევნა, რაც მძიმე ლოდად აწევს საბჭოთა სასამართლოს ნაყოფიერ მუშაობას.

დღეს მომქმედი სის. სამ. საპროცესი კოდექსი არ არის შეხამებული და შეგუებული საბჭოთა ხელისუფლების ბუნებასთან და ამას აუცილებლად ახლო მომავალში ბოლო უნდა მოელოს.

ი. გულორდავა.

სისხლის სამართლის პროცესის შემარტივებისათვის*)

პროცესის გამარტივების საკითხი მართლა დროულია. გამარტივების საჭიროებას თითქმის კველა ერთხმად აღიარებს. გამოსარკვევია მხოლოდ ის, თუ რაში უნდა გამოიხატოს გამარტივება. ურნალ „საბჭოთა სამართლში“ დღემდე მოთავსებულ წერილებში და კურიოზების სახით აღწერილ ფაქტებში 95%-ი ისეთებია, რომ სისხლ სამ. საპრ. კოდექსის შეუფერებლობას კი არა, არამედ სასამართლოს მიერ მხარეთაგან აღძრულ უკანონო შუამდგომლიბათა უკანონოდ დაკმაყოფილებას ააშეკრავებს. რუსეთის კომუნისტურ აკადემიაში კრილენკოს საპასუხოდ ესტრინის ნათქვამი—საქმის ასეთი მდგომარეობა („ვოლოკიტა“ და სხვა) მხოლოდ კოდექსის ნაკლით კი არა, განსაკუთრებით საგამომძიებლო და სასამართლოს აპარატის სისუსტით აიხსნებაო, უსათუოდ ზედგამოჭრილია ჩვენი მდგომარეობისათვისაც. და მე დავსძენდი, რომ ამ მხრივ მხარეთა წარმომადგენელიც ცეცხლზედ ნავთს ასხამენ ხოლო.

გადაპხედეთ ურნალის კველა ნომერში მოთავსებულ ცნობებს, თუ ზემონათქვამი უცილობელ ჭეშმარიტებად არ წარმოგიდეთ. თუ აუარებელ სხვა კურიოზთან ერთად საქმე იქამდის მისულა, რომ ერთ-ერთი მოსამართლის განაჩენით ცოცხალი ბრალდებული მკვდრად ყოფილი მიჩნეული, ნუ თუ უსულო კოდექსი არ გაციცხლდება და არ იტყვის—მარტო მე არა ვარ დამნაშავო..

მართლაც და რა შუაშია საპროცესო კოდექსი, რომ ერთი მოსამართლე საკასაციო საჩივარის ისეთ საქმეზედ, რომელშიც ბრალდადებულს 6 თვე აქვს გადაწყვეტილი და გამსახლშა მოთავსებული, 2—3 თვეს შემდეგ ჰეზავნის; მეორე მოსამართლე წლობით აჩერებს მცირებულოვანთა საქმეს მას რომ არ ექვემდებარება; მესამე წლობით 2—3 მანეთად ღირებული საქმეები შეუდგენია და ერთი წლიდან მეორეში გადააქვს და სხვა...

დაახ, ამაში პროცესი არ არის დამწეულე ისევე როგორც მაშინ, როდესაც საგამომძიებლო და საპროცესო განყოფილებებს ერთი ბრალდებული შვიდ თვემდევ ჰყავდათ გამსახლში, ამ ხნის განწმელობაში ბრალდებული მეტი არავინ იყო დაკითხული და ამ საქმის განხილვისა პროცესორმა განაცხადა: დღეს საქმის განხილვა არ შეიძლება, ადგან გამომძიების უსრულობის გამო არ ვიცა როგორი კვალიფიკაცია ავარჩიო, გაფლანგვა, თუ დანაკლისიო?..

არ არის პროცესის ბრალი ისევე, როგორც მაშინ როდესაც ტფილისის ერთ სასამართლოში დამცემელი რისით იცავდა იმ დებულებას, რომ სრულებით არ არის საჭირო საექიმო შემოწმება იმ პირისა, რომელსაც ჩვენ ვერ იურიული სენის შეყრას გაბრალებთ, ხოლო რომელიც ამა უარობს, საქმე ის არის, რომ ქალი დავადმყოფებულია და სხვა არაფერიო...

აი, როგორია მდგომარეობა... მაგრამ არის კოდექსი პირობებიც, რაც საქმეს გვიფერხებს: ერთი მოსამართლე 1½ თვეთ იყო წითელ ლაშქარში გაწვეული, მე

*) დისკუსიის წესით

ორე ავადაა და შეებულებაც აქვს; მესამე სხვაგან გადაიყვანეს და წავიდა. ცველა ამ შემთხვევაში სასამართლოს კარები საქმის გარჩევისათვის დაკეტილია და საქმეც (როგორც ამას აღნიშნავს აგრეთვე გ. სადალაშვილი— „საბჭ. სამ.“ № 10) უსაზღვროდ ზარალობს—სასამართლო იტვირთება.

ახლა ყველა ამას დაუშატეთ ისიც, რომ აუარებელ ცირკულარში და საკასაციო ინსტრუმენტის დადგენილებებში პროცესური ნორმების დარღვევებზე ლაპარაკი, და ნათლად დავრწმუნდებით, რომ უფრო ჩვენ სისუსტეზედაა დამოკიდებული და არა მხოლოდ კოდექსზედ.

მაგრამ, როგორც ზემოთაც ესთქვით, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პროცესურ არ ესაჭიროებოდეს შესწორება. ამ რამდენიმე დღის წინად ი. სტალინი სწერდა („კომუნისტი“ 27 ივნისი, № 146)—ვერავის მოეთხოვთ, რომ მთელი 100%-ით უნაკლო იყოსო. ეს დებულება უდავოა კანონისათვისაც და უნდა ვეცადოთ მთავარი ნაკლი მაინც გამოვასწოროთ.

საერთოდ საქმეთა სწორ კალაპოტში ჩასაყენებლად, დღეში და სხვა და სხვა პირთაგან გამოთქმულ აზრთა განსაჯელად და თვით პროცესის გასამარტივებლად ჩემი მოსაზრებანი ასეთია:

1. როგორც თათბირის დადგენილებით („საბჭ. სამ.“ № 9) საჭიროდ არის მიჩნეული, რომ მოკვლევისათვის მილიკაში გამოყოფილ უნდა იყვეს სათანადო მომზადებული პირი, იგივე აზრი უნდა მივიღოთ მოსამართლეთა და მხარეთა წარმომადგენელთათვის, რადგან წესირი მოკვლევა ვერას გვიშველის, თუ მას წესირი მომსმენ-განმხილვით არ ეყოლება. საჭირო ღირსებების მოსაპოებლად არაფერს უნდა ვერიდებოდეთ: სასტიკი და კატეგორიული გაფრთხილების შემდეგ დამნაშავე საქმეს უნდა ჩამოსკილდეს; სხვა ფრივ დაუსრულებელ განმარტებას მნიშვნელობა არა აქვს ისევე, როგორც კანონი არ ვარგა, თუ მას არ ვასრულებთ. არ არის საჭირო, რომ მოსამართლე, პროცესურობი, ან დამცველი უმაღლესი ცოდნით იყოს აღჭურვილი, მაგრამ საქმისაღმი კეთილ სინდისიერად მოჰყრობა და ამასთანავე შესაფერისი მომზადებაც პირველი საფუძველია ნდობისა და პატივისცემის მოპოებისა და საქმის წესირად წარმართვისათვის.

2. მოსამართლის შეებულებაში ყოფნისა, ავადმყოფობისა ან მივლინების შემთხვევაში მისი მონაცემე აუცილებლად უნდა დაინიშნოს.

3. მილიკისა უნდა ჩამოსკილდეს უწყებების ჩაბარების მოვალეობა, როგორც ეს ტფილისის სასამართლოებშია.

4. სისწორით იქნეს დაცული სის. სამ. საპრ. კოდ. 105 მუხ. (დღევანდველი რედაქციი), რომლის შეუსრულებლობაზედ აუარებელი ცირკულარებია.

5. ძლიერ მიზანშეწონილია თათბირის დადგენილება ერთპიროვანი სასამართლოს ქვემდებარების შემნაზე, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ დადგენილებაში ჩიმოვლილ მუხლებში მოთავსებულია ზოგი უფრო მძიმე მუხლი, შედარებით მსუბუქი მუხლი კი გამოროვებულია (მაგალითად 81, 82 მ. გ. შეადარეთ 84-ს და სხვა), მაგრამ ამ მხრივ საკითხი აღბად დამუშავდება. მეორეს მხრივ თვით ერთპიროვან სასამართლოს მუშაბაც განიტვირთება, რად-

გან იუსტისახკომის კოლეგიის დადგენილებით („საბჭ. სამ.“ № 13) ამ საქმეთა ნაწილიც თემალმასკომებთან დაარსებულ სამოსამართლო ორგანოებს გადაეცემა.

6. საქმის გადაღების შემთხვევაში გამოცხადებული მოწევების დაკითხვის საკითხში აუცილებლად მისაღებია როინაშეილ-ლვამიჩავას მოსაზრებანი („საბჭ. სამ.“ № 10 და 12).

7. სახ. სასამართლოსი და სამაზრო სასამართლოს პირველ სახის განაჩენებს ხელის უნდა აწერდნენ მსაჯულებიც. განაჩენი ხომ იწერება საქმის განხილვისთანავე, როდესაც მსაჯულნიც სასამართლოში არიან. მაშ რატომ ვერ უნდა მოაწერონ ხელი? საქმის წარმოებას ხომ მოუწერავიბით შელავათი არაფერი ეძლევა და გაუგებრობის თვიდან ასაცილებლად ხელის მოწერა ემჯობინება. რაც შეხეხდა მეორე სახის (დასაბუთებულ) განაჩენს, აქ, ვფიქრობ, მართლა საკმარისი იქნება მხოლოდ მოსამართლის ხელის მოწერა, რადგან ფაქტის შეფასება, კვალიფიკაცია და სოცდაციის ლონისძიება უკვე მიღებული იქნება და არც მსაჯულების ძებნა დაგვიშირდება.

8. საკასაციო საჩივრის შეტანისას წინასწარი პატიმრობის ჩაუთვლელობა სასტიკი ზომაა, რადგან ამ პატიმრობაში ხშირად დიდი დრო გადის ხოლმე. მიზანშეწონილი იქნება ჩაუთვლელობა იმ დროისა, რაც პირველსა და მეორე ინსტანციაში გარჩევის შორის გავა.

9. საერთოდ დაზარალებულთა დაუსწრებლად საქმის გარჩევა (რასაც ამხ. როდონაია იცავს — „საბჭ. სამ.“ № 12) ყოველგვარი უსწორობა იქნება, რადგან თვით სასამართლოს გამოძიებას საფუძველი ეკარება მით უფრო, რომ ხშირად დაზარალებული მთავარი მოწმეა. ხოლო როდესაც დაზარალებული საქმის აქტიური ელემენტი არ არის, მისი გამოუცხადებლობა, რა თქმა უნდა, საქმის მოსმენას ვერ შეაფერებს.

10. უმართებულოდ აქრიტიკებს მოსამართლე ხიხაძე („საბჭ. სამ.“ № 13) თავის წერილის მეორე თავში სის. სამ. საპროც. კოდექსს, ვითომც მასში არ იყვეს ისეთი მუხლი, რომლითაც შეიძლებოდეს კერძო საჩივრით ალბრულ (სის. სამ. საპრ. კოდ. 10 მუხ.). საქმეთა მოსპობი იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულ უწყება ჩაპარდა და არ გამოცხადდა. საამისო მუხლი ჩვენს კოდექსში დანორილია 270-ით, მოთავსებულია სხდომის წარმოების წესიმი და პრაქტიკული შემთხვევაში მართებულად არის იგი ფრივი მართებულად არის იგი ხელში და მარტივიაშიც მართებულად არის იგი ხელში და მარტივიაშიც მართებულად არის იგი ხელში და მარტივიაშიც მითითებულია 11 მუხლი. მართალია იქ ფრჩხილებში მითითებულია 11 მუხლზე, მაგრამ აშკარაა, რომ იგი 10 მუხლს ეხება, რადგან დაზარალებულის უფლებები ბრალმდებლობის გაწევისა კონკრეტულად სწორედ ამ მუხლშია გათვალისწინებული, ხოლო 11 მუხლით აღმრულ საქმეში დაზარალებულის გამოუცხადებლობა ან მის მიერ შერიგების სურვილი საქმეს ვერა სპობს.

11. ზოგიერთი დებულება ზოგჯერ ორ სხვა და სხვა მუხლში გვხვდება. მაგალითად 8 და 49, 140 და 167, 54 და 246 ნაწილი და სხვა. ეს მუხლები ოუმცა სხვა და სხვა თავშია მოთავსებული, მაგრამ სრულიად ერთი და იგივე შინაარსისაა, რის გამო საერთო მუხლი სასურველად უნდა მივიჩნიოთ.

12. ჩემი უკანასკნელი მოსაზრება ეხება იმ დადგენილებას, რომლითაც სასამართლოს უფლება ექნება არ

დაუშვის დამცველი ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი არ მონაწილეობს. დამცველის როლი ამა. ი. ვარძიელის მიერ მოცემულ დამცველთა კოლეგის რეორგანიზაციის თეზისებშაც საჭიროდ არის მიჩნეული. მაში რით აფერხებს საქმეს დამცველი? დიდ საქმეებში, სადაც ინტერესები მოითხოვს პროკურორი მონაწილეობს და პროექტითაც დამცველიც აუკილებელია; დამცველს რომ არც უნდოდეს, მას დანიშნავენ. შედარებით მსუბუქ საქმეებში რატომ არ უნდა იყვნეს დამცველი? ამბობენ: სასამართლო თვით დაიცავს ბრალდებულის ინტერესებსაც და მიუდგომელ მსჯავრს გამოიტანს. მის მიუდგომლობაზედ არც მე შემდის ეჭვი, მაგრამ მარტო სასამართლო ვერ შესძლებს საქმის ყოველმხრივ გაშუქებას. იგი ბრალდებულს თავის სხდომაზედ პირველად ნახავს და სწორედ ამას მოჰყვება საქმის უფრო ხშირი გადაღება, მეორეს შერივ ერთ წყება საქმეში სასამართლოს ორივე მხარე ეხმარება, მეორეში კი ორივე მხარე ეცლება. აქ უსაბუთოა იმის თქმა, რომ საქმის სირთულის დროს დამცველს დაუშვებენო. თუ საქმე როულად იქნება აღიარებული, მაშინ პროკურორის მონაწილეობაც მოხერხდება და ამ რიგად დამცველი ისედაც სავალდებულო იქნება, მაგრამ საქმე ის არის, რომ მოქალაქეს დაცვის უფლებას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ვართმევდეთ... ხშირია შემთხვევა, როდესაც პროკურორის ხელმძღვანელობით მომუშავე გამომძიებელს ერთი ხაზი აქვს აღებული, ერთ ბრალდებულს პპოულობს, ამ საქმეს პროკურორი აღასტურებს და სასამართლოში გზავნის იმავე ბრალდებულის გასამტყუნებლად, მაგრამ ირკვევა, რომ აღებული ხაზი სწორი არ არის, სხვა პირია დამნაშავე ან სხვაც არის დამნაშავე. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც საქმეში დამნაშავედ ამოტივტივდებიან ხოლმე ხელისუფლების ისეთი წარმომადგენელი, რომელმც ხელი საგამომძიებლო საპროკურატურო განყოფილება არ ჰქონის, და ეს მათ მოსდიოდათ რასაკირველია არა განზრას და რომ ასეთი შეცდომები აუცილებელია, ეს იმითიც მტკრცდება, რომ საპროკ. კოდექსში ძველია და ახალ პროექტშიც საამისო მუხლებია მოთავსებული. ყველა ზემოხსენებული-სათვის კი უპროკუროროდ განსახილველ საქმეში ქეთილ-სინდისიერი დამცველი (მე მხოლოდ ასეთებს ვგულის-ხმობ, რადგან, როგორც ზევითაც აღნიშნე, არაკეთილ-სინდისიერი არც დამცველი უნდა იყვნეს, არც პროკურორი, არც მოსამართლე) სასამართლოს დახმარებას გაუშევს. მე აქ არ ვეხები კამათის დაუშვებლობის საკითხს, რის შესახებაც ი. ვადაჭირია სურგულაძის საპასუხოდ სწერს („საბჭ. სამ.“ № 13*) და რაც დღევანდელ საპროკ. კოდექსითაც სამაზრო სასამართლოებისათვის (397 მ.) არის გათვალისწინებული, მაგრამ დამნაშავის სკამზე მჯდომი-სათვის (თუ ბრალდებულის დასჯა არ გვაინტერესებს) მომზადებული შუაქაცი აუცილებელია, ვინაიდან ბევრი გამოცდილი ინტელიგენტიც მოწმედ ყოფნის დროსაც კი ღელავს და იბნევა.

მიხ. ხერხებულიძე.

*) ეს ეხება რ. ს. ფ. ს. რ. პროექტს.

შეგებებული სარჩევლი

(საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის მიხედვით)

საქართველოს სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 1925 წლამდე არ შეიცავდა არც ერთ ნორმას შეგებებული სარჩელის შესახებ. ერთად ერთ გამონაკლისა ამ მხრივ წარმოადგენდა 82 მუხ. შენიშვნა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „შეგებებული სარჩელის ყველა ნაკლი შესწორებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღის-თვისაც დანიშნულია საქმის გარჩევა“.

ამ მოკლე დებულებიდან, მაინც, იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ჩვენს კანონმდებლობაში შეგებებული სარჩელის წარდგენის უფლება ვალის გარდა („არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღისთვისაც დანიშნულია საქმის გარჩევა“) არაფრით არ იყო შეზღუდული; ამის გამო მოპასუხეს შეეძლო წარდგინა ყოველგვარი შეგებებული სარჩელი და მოეთხოვა მისი განხილვა მთავარ სარჩელთან ერთად.

ასეთი ფართო, თითქმის უსაზღვრო, იყო მოპასუხის უფლება შეგებებული სარჩელის წარდგენის მხრივ, მხოლოდ შემდეგში ეგულება საგრძნობლად შეზღუდულ იყო სამოქ. საპრ. კოდ. შეტანილ ახალ მუხლებით, 81¹ და 82² („მოამბე“, 1925 წ. № 21. *).

პირველი ამ მუხლთაგანი აწესებს შეგებებული სარჩელის წარდგენის პირობას და გამომცემულია ამნაირად: „შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთ შესაძლებელი იქნება მისი ჩათვლა პირვანდელ სასამარჩელო მოთხოვნაში“, ხოლო 72² მუხ. გათვალისწინებულია, რა მოელის ისეთ შეგებებულ სარჩელს, რომელიც სახალხო სასამართლოს არ ექვემდებარება: „უკეთ წარდგენილია ისეთი შეგებებული სარჩელი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან და რომელიც არ ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, ეს უკანასკენელი მოხვობს თავისთან ამ საქმის წარმოებას და გადასცემს მას სათანადო ოლქის სასამართლოს“. მეტად ღატაკია აღნიშნული მუხლების შინაარსი და პრაქტიკაში მათ შეიძლება გამოიწვიონ მრავალი საკითხი და გაუგებრობა, ამიტომ საჭიროა მათი უფრო დეტალურად გარჩევა.

1. შეგებებული სარჩელის ცნების განსაზღვრა და რა პირობებში შეიძლება მისი წარდგენა.

შეგებებული სარჩელი ეწოდება ისეთ სასამარჩელო მოთხოვნას, რომელიც წარდგინება მესარჩელეს იმავე სასამართლოში, სადაც წარდგენილია პირვანდელი (მთავარი) სარჩელი სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 81¹ მუხ. შეგებებული სარჩელის პირდგენის პირობად მიაჩნია ის, რომ შესაძლებელი იყოს მისი პირვანდელ მოთხოვნაში ჩათვლა.

2. ჩათვლა.

ჩათვლისათვის საჭიროა მხოლოდ იმის გამორკვევა, რამდენი უნდა მისცეს ერთმა მხარემ მეორეს; ამის გამორკვევა, თუ პრეტენზიები ფულადი ხასიათისაა, შეი-

*) როგორც ეტყობა, „მოამბე“-ში 81² მუხ. შეცდომით დაბეჭდილია 82² №-ით.

ძლება თითქმის ყოველთვის; ამის გაში, რაზედაც არ უნდა იყოს დამყარებული შეგებებული სარჩელი, იგი ყოველთვის დაშვებულ უნდა იქნეს, თუნდაც მიუხედავად იმისა, ძირითადი და შეგებებული სარჩელების საფუძლები, სრულიად სხვადასხვაგარი იყოს. თუ მოპასუხეს წარედგინა სარჩელი ვალდებულებით ვალის გადახდის შესახებ, ჩას შეუძლიან წარადგინოს შეგებებული სარჩელი ზარალის, საიჯარო გადასახდელის, სამუშაო ხელფასის, გასამრჯველოს და სხვ. გადახირვინების შესახებ.

თუმცა 81¹ მუხლით ჩათვლა აუცილებელი პირობაა შეგებებული სარჩელის წარსაღვენად, მაგრამ, თუ ამასთანავე განვიხილავთ 82²-ს მუხ. შინაარსს, უკეთელად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მომქმედი კანონის ძალით შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება მაშინაც კი როგორცა შეუძლებელი იქნება მისი ჩათვლა, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ იჯი მჭიდროდ, განუყრელად იყოს დაკავშირებული პირებული პირვანდელ სარჩელთან. მართლაც 82² მუხ. ნათქვამია, რომ, თუ წარდგენილია ისეთი შეგებებული სარჩელი, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან და რომელიც არ ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, ეს უკანასკნელი მოსპობს თავისთან ამ საქმის წარმოებას და გადასცემს ზას სათანადო სამაზრო სასამართლოს. აქედან ცხადია, თუ პირვანდელ სარჩელთან მჭიდროდ დაკავშირებული შეგებებული სარჩელი სახალხო სასამართლოს ექვემდებარება, ამ უკანასკნელმა უნდა განიხილოს იგი.

ასეთი მდგომარეობა საცეცხით მისაღებია, რადგანაც წინაღმდეგ შემთხვევაში შეგებებულ სარჩელს არ ექნებოდა თითქმის არავითარა მნიშვნელობა. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: წარდგენილია სარჩელი ფულის ხელშეკრულების ძალით გადახდის შესახებ, მოპასუხეს კი ჰსურს წარადგინოს შეგებებული სარჩელი ამ ხელშეკრულების ბათილობის შესახებ. აქ ჩათვლას ადგილი ვერ ექნება და ამავე დროს ერთი სარჩელი განუყრელად არის დაკავშირებული მეორესთან. თუ საკითხს სხვატრივ მაუდგებით, თუ მივიღებთ, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელი იქნება მისი ჩათვლა, აშკარაა სახალხო სასამართლოში ასეთი სარჩელის წარდგენა არ შეიძლება, ხოლო, თუ სარჩელის ფასი შემთხვევით აღმატება ისეთ ფასს, რაც სახალხო სასამართლოს ექვემდებარება,— შესაძლებელი იქნება. ასეთი მდგომარეობა ყოვლად მიუღებელია.

3. უარის თქმა შეგებებული სარჩელის მიღებაზე:

როდესაც პირვანდელი და შეგებებული სარჩელების მოთხოვნის საგანი სხვადასხვაგარია ანდა თუმცა ერთგვარია, მაგრამ ინდივიდუალურად განსაზღვრულია, ჩათვლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ამიტომ ამგვარ შემთხვევაში შეგებებული სარჩელის მიღება არ შეიძლება. მაგ., თუ მესარჩელე თხოულობს მისთვის ცხნის მისჯას, მოპასუხე კი თხოულობს მესარჩელესგან ხარს,— ჩათვლა შეუძლებელია, ამიტომ სასამართლომ უარი უნდა უთხრას შეგებებულ სარჩელის მიღებაზე პირვანდელ (მთავარ) სარჩელთან ერთად განსახილველად. მაგრამ წარმოვიდგინოთ რომ მოსარჩელე არ არის შეგებებული სარჩელის დაშვების წინააღმდეგ და სასამართლომ მიიღო უკანონოდ წარ-

დგენილი სარჩელი და გამოიტანა დადგენილება მორიგე სარჩელის გამო. აქეს თუ არა მესარჩელეს ამ შემთხვევაში უფლება შეიტანოს საჩივარი და აქეს თუ არა ზემო ინსტანციის სასამართლოს უფლება შეასწოროს ეს შეცდომა? ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეო, რადგანაც, თუ სასამართლომ სარჩელის მიღების საწინააღმდეგო არაფრი ჰპოვა, ზემო ინსტანციის უფლება არა აქვს, მოსპოტ პირველ ინსტანციის დამთავრებული მოელი წარმოება.

ასეთ დასკვნისათვის საფუძველს იძლევა, ჯერ ერთი, სამოქალაქო სამართლის 173 მუხ., რომლის ძალითაც სასამართლოს შეუძლიან საქმეები შეაერთოს, მეორეც ის მოსაზრება, რომ შეგებებული სარჩელის დაშვების მიზანია მხარეთა ურთიერთ პრეტენზიების შეტი სისტრაფით გადაწყვეტა და დროის ეკონომიკა სასამართლოსათვის, რომელიც ერთ წარმოებით სწყვეტს ორ სარჩელს, ამიტომ აღნიშნულ შემთხვევაში, რადგანაც სასამართლოს მატერიალურ შემთხვევეტილია უკვე ორივე სარჩელი, რადგანაც მან გადაწყვეტილია უკვე ორივე სარჩელი, რადგანაც მან შრომა გასწია, ზედმეტი ფორმალიზმი იქნებოდა სასამართლოს მთელი წარმოების თავიდანვე მოსპობა მარტოლდენ იმ საფუძლით, რომ მას არ უნდა განხილავ შეგებებული სარჩელი მთავარ სარჩელთან ერთად. სხვა საკითხია, თუ შეგებებული სარჩელი არ ექვემდებარებოდა იმ სასამართლოს, რომელმაც იგი განიხილა; ამ შემთხვევაში ზემო ინსტანციას, სადაც საქმე საკასაციო წესით გადავა, უფლება აქვს თავისი ინიციატივით მოსპოტ წარმოება ან იმ ნაშილში, რომელიც შეგებებულ სარჩელს ეხება და არღვევს შემდებარეობის კანონს, ან და მთელი გადაწყვეტილებაც-კი, უკეთუ შეგებებული სარჩელი, ამის გარდა, განუყრელად არის დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან (82² მუხ.).

4. შეგებებული სარჩელის ქვემდებარეობა.

81¹ მუხლიდან არა საჩანს, შეიძლება თუ არა შეგებებული სარჩელის წარდგენა, როდესაც იგი არ ექვემდებარება იმ სასამართლოს, სადაც განხილულ უნდა იქნეს მთავარი სარჩელი. თუ საკითხი ეხება, ა) აღილობრივ ქვემდებარეობას, (სამ. სამ. საპრ. კოდ. 26 მ.), ბ) კოლექტივისათვის წარდგენილი სარჩელის ქვემდებარეობას (სამ. საპრ. კოდ. 28 მ.), აგრეთვე გ) სარჩელის ქვემდებარეობის ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით (სამ. სამ. საპრ. კოდ. 29 მ.), უნდა ესცნოთ, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა 'შეიძლება სასამართლოში, სადაც მთავარი სარჩელი ირჩევა, თუნდაც აღნიშნული მუხლიდან შეგებებული სარჩელის თავის თავიდანვე მოსპოტ წარმოება არა არის შეგებებული სარჩელის თავის თავიდანვე მოსპოტ წარმოებას ამ სასამართლოს.

უკეთუ შეუძლებელია შეგებებული სარჩელის ჩათვლა ანდა, თუ იგი განუყრელად არ არის დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან, სასამართლო მას არ მიიღებს მთავარი სარჩელთან ერთად განსხილველად.

უკეთუ შეგებებული სარჩელი თავისი ფასისა და გვარის მიხედვით არ ექვემდებარება იმ სასამართლოს, სადაც წარდგენილია მთავარი სარჩელი, იგი არ უნდა იქნეს განხილული. გამონაკლის ამ მხრივ წარმოადგენს სამ. სამ. საპრ. კოდ. 82² მუხ., რომლის ძალითაც სასამართლო მიიღებს ასეთ სარჩელს, უკეთუ იგი განუყრელი და სასამართლომ მიიღებარებული სარჩელის თავის თავიდანვე მოსპოტ წარმოება.

ლად არის დაკაგშირებული პირვანდელ სარჩელთან, და წარმართავს მას სათანადო სამაზრო სასამართლოში.

5. განუყრელი კაფშირი. საჭიროა იმის გამორკვევა, რას ნიშნავს ეს „განუყრელი კაფშირი“. იგი არის ორივე სარჩელის ისეთი ურთი-ერთ დამოკიდებულება, როდესაც ერთი სარჩელი ვერ გადაწყვდება ისე, რომ მეორე არ იყოს განხილული. ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთი სარჩელი პრეიუდიციალურია მეორისათვის, ე. ი. საჭიროა, ერთი სარჩელის გადაწყვეტამდე, განხილულ იქნება მეორე სარჩელი იმის გამოსარკვევად, აქვს თუ არა პირვანდელი სარჩელის აღმძრელს იმის უფლება რასაც იგი სარჩლობს. მაგ., წარდგენილია სახალხო სასამართლოში სარჩელი ხელშეკრულების ძალით რამდენიმე თვის გადასახდელი ფულის გადახდევინების შესახებ, ხოლო მოპასუხეს შეაქვს შეგებებული სარჩელი ისეთი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რომლის ფასიც 1000 მან. აღმატება, ასეთ შემთხვევაში პირვანდელი სარჩელის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, როგორ იქნება გადაწყვეტილი შეგებებული სარჩელი, ამიტომ, თუ ეს სარჩელი არ ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, ეს უკანასკნელი მოსპობს თავისთან ამ საქმის წარმოებას და მთელ საქმეს გადასცემს სამაზრო სასამართლოს.

ხოლო თუ ეს ორი სარჩელი განუყრელად არ არის ერთი მეორესთან დაკაგშირებული, სახალხო მოსამართლემ უარი უნდა უთხრას ისეთი შეგებებული სარჩელის მიღებაზე, რომელიც მისი ქვემდებარეობის ფარგალს აღმატება, და განიხილოს პირვანდელი სარჩელი; მაგ., 500 მან. თამასუქის გამო აღძრული სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილია შეგებებული სარჩელი 1200 მან. შესახებ ხელშერილის ძალით; ამ შემთხვევაში ეს ორი სარჩელი ერთმანეთთან განუყრელად არ არიან დაკაგშირებული, ამიტომ მოსამართლემ უარი უნდა უთხრას შეგებებული სარჩელის მიღებაზე: ანდა თამასუქის გამო აღძრული სარჩელის წინააღმდეგ, რასაც სახალხო კომისარიატი წარუდგენს კერძო პირს, ეს უკანასკნელი შეიტანს შეგებებულ სარჩელს 300 მან. ზარალის შესახებ, აქ შეგებებული სარჩელი სახალხო სასამართლოს ვერ წარედგინება, რადგანაც სარჩელი სახალხო კომისარიატის წინააღმდეგ უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება (სამ. სამ. საპრ. კოდ. 25 მუხ.).

(დასასრული იქნება)

ა. აღხოვთ.

მილიციის განტვირთვის საკითხები

